ცვლილება ბრძანებაში

ფინანსური ანგარიშების ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

2024 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №292, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად №996 ბრძანების 112-ე გარდამავალი დებულებების მუხლს დაემატა ახალი 70-ე პუნქტი, დასახელებით - „ინფორმაციის მოთხოვნის უფლება”. განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლისას საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის რეზიდენტობის დადგენის მეთოდი.

შეგახსენებთ, რომ საგადასახადო კოდექსის 70² მუხლის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებს დაეკისრათ ვალდებულება აწარმოონ ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შემოსავლების სამსახურს 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 30 ივნისისა. შემოსავლების სამსახურს კი მიეცა უფლება, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია გადასცეს უცხო ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს და განახორციელოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების საერთო სტანდარტთან (CRS) დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება და კონტროლი. სწორედ ამ მუხლით შემოღებულ ცნებას და ვალდებულებას უკავშირდება ზემოაღნიშნული ცვლილება.

ბრძანებაში შესული ცვლილება განმარტავს, რომ თუ საგადასახადო კოდექსის 70² მუხლში განსაზღვრული სათანადო პროცედურებით არ დგინდება საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის რეზიდენტობა უშუალოდ რომელიმე კონკრეტული იურისდიქციის მიმართ, იგი ავტომატურად ჩაითვლება საქართველოს რეზიდენტად.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 6 სექტემბრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.